ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1678314

ნომერი: AR1267813

თარიღი : 23.11.2014

გაცემის თარიღი : 09.01.2015

გაცნობის თარიღი : 09.01.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 39 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე აბულაძე პ/ნ 62001003516
- თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ნომენკლატურა :

- პოლიკლინიკა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1527686
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 13.10.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: პოლიკლონიკა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი გოგოხია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ქალაქ თბილისის 12 შერეული ტიპის პოლიკლინიკა

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404456110

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ქალაქ თბილისის 12 შერეული ტიპის პოლიკლინიკა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404456110
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე აბულაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62001003516

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 383.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 240.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 901.3
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 18.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 4294.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4150.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 144.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 16.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 239.9 კ1=0.6 დადგენილი საშუალო მაჩვენებლი კ1=0.7 პროექტით მიღებული მაჩვენებელი კ1=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1112.8 კ2=2.9 დადგენილი საშუალო მაჩვენებელი კ2= 4.1. პროექტით მიღებული მაჩვენებლი კ2=2.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 23 კ3=0.1
- .პალატების ფართობი (კვ.მ): 882.4

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N39–ში პოლიკნინიკის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.
გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 25 დეკემბრის Nდ/13/12/76 წერილის საფუძველზე განხილულ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება მოქმედი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების გათვალისწინებით.
სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შეთანხმების სტადიაზე საკითხი განხილული იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში (წერილი Nდ/13/12/30, 22.07.2014 წ.) და მიეცა დადებითი ისტორიულ–არქიტეტურული კვლევის რეკომენდაციების, მოქმედი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების გათვალისწინებით და ესკიზში ნაჩვენები სართულიანობის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაპ-ში (გადაწყვეტილება №1527686) 3 სართულიანი ესკიზური პროექტის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას არქიტექტურული პროექტი.

ასევე საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:
. საცხოვრებელი ზონა სზ-3–ში კოეფიციენტები გადაჭარბებულია, კ3 არ არის გათვალისწინებული;

. კროკები (CAD ფაილი) არ არის ზონების მიხედვით დათვლილი;
. წარმოდგენილი უნდა იქნას მოსაკრებლის გადახდის ქვითარი განაშენიანების ფართის შესაბამისად (1 კვ.მ 1 ლარი);
. კიბესთან და ლიფტთან არ არის ტამბური გათვალისწინებული;
. საინფორმაციო დაფის (ბანერის) ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან;
. მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი სამანქანო გზის სქემა;
. სიმაღლის განსაზღვრის სქემა არასწორად არის გაანგარიშებული;
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.